

შპს „სიკეთე“
2019 წლის ფინანსური
ანგარიშგება

შპს სიკეთე 445416318
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული 1GEL

	საანგარიშო პერიოდი		
	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ :	1684262	1668186	1660302
ფული და ფულის ექვივალენტები	7745	6239	30476
გაცემული მიმდინარე სესხები		16	16
სავაჭრო მოთხოვნები	10070	51611	129534
მიღებული ავანსები	-525		
გადახდილი ავანსები	471594	53120	161421
მარაგები	1059600	1456777	1338855
სხვა მიმდინარე აქტივები	135778	100423	
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	606501	598261	52618
ძირითადი საშუალებები	45285	64750	51622
არამატერიალური აქტივები	152	574	996
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	561064	532937	
სულ აქტივები:	2290763	2266447	1712920
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	69268	113321	315603
სავაჭრო ვალდებულებები	651	84531	4529
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		208	289184
საგადასახადო ვალდებულებები	68617	28582	21890
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	1987457	1713024	837425
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1987457	1713024	837425
სულ კაპიტალი:	234038	440102	559892
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	200
დაგროვილი მოგება/დაუფარავი ზარალი	233838	439902	559692
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2290763	2266447	1712920

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი -----
თამილა ებრაელიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სიკეთე 445416318
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული 1GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ნეტო ამონაგები	2144156	3569302
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1668656	-2900094
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	475500	669208
მიწოდების ხარჯები	-2163	-15663
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-395410	-499393
და სულ საოპერაციო ხარჯები	-397573	-515056
ფინანსური შემოსავლები	81147	59917
დადებითი საკურსოს სხვაობები	20295	41440
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	73	4813
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	101515	106170
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	-3940	-126
ფინანსური დანახარჯები	-126664	-141402
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-20	-745
უარყოფითი საკურსოს სხვაობები	-131955	-151797
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-17	-5
სულ არასაოპერაციო ხარჯები	-262596	-294075
მოგება დაბეგვრამდე:	-83154	-33753
მოგების გადასახადის ხარჯი	-17647	-12353
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-100801	-46106
მათ შორის მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე არამაკონტროლებელ წილზე	-100801	-46106
სხვა სრული შემოსავალი სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი გადასახადის გამოკლებით		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-100801	-46106
მათ შორის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე არამაკონტროლებელ წილზე	-100801	-46106

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი ----- თამილა ებრალიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სიკეთე 445416318
კაპიტალის ცსაკუთარი ვლილებების ანგარიშგება

ერთეული:1GEL

	სააქციო/საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება/დაუფარავი ზარალი	სხვა სრული შემოსავალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018	200	559692		559892
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გამოსწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად დაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-46106		-46106
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსული მოგება ან ზარალი				0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				0
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-46106		-46106
მესაკუთრების შენატანი კაპიტალში				
საკუთარი წილობრიბი ინსტრუმენტების გამოსყიდვა				
მესაკუთრებისაგან				
განაწილებული				
დივიდენდი		-73684		-73684
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-73684		-73684
ნაშთი 01.01.2019-თვის	200	439902		440102
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად დაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-100801		-100801
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდში მთლიანი სრული შემოსავალი		-100801		-100801
მესაკუთრების შენატანი კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა				
მესაკუთრებისაგან				
განაწილებული				
დივიდენდი		-105263		-105263
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-105263		-105263
ნაშთი 01.01.2020-თვის	200	233838		234038

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი ----- თამილა ებრალიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სიკეთე 445416318
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
 ერთეული: 1GEL

	საანგარიშო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	2572145	4289701
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	3589	4798
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1977892	-3123583
გაცემული შრომის ანაზღაურება	-159403	-200972
საპენსიო ანარიცხები	-6644	
გადახდილი გადასახადები	-412378	-756979
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-12630	-11195
ფულადი სახდრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან	6787	201770
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-533	-22701
სესხის გაცემა		-700000
გაცემული სესხის დაბრუნება	53036	226980
მიღებული პროცენტები		
სხვა შემოსულობანი/განაცემი საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან	52503	-495721
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის აღება	489852	2407190
სესხის დაფარვა	-317612	-1952058
გადახდილი პროცენტები	-126664	-108441
გადახდილი დივიდენდები	-100000	-70000
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან	-54424	276691
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-3360	-6977
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი:	1506	-24237
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის დასაწყისისათვის:	6239	30476
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის ბოლოსათვის:	7745	6239

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი ----- თამილა ებრალიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სიკეთე“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 16 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445416318, იურიდიული მისამართი - საქართველო, ბათუმი, ორბელიანი/მელიქიშვილის ქ., N 5/104. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია თამილა ებრალიძე (პ.ნ. 61006065234).

1.3. კომპანიის დირექტორია თამილა ებრალიძე (პ.ნ. 61006065234).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარემონტო-სამშენებლო მასალებით ვაჭრობა. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 3 ადგილიდან (3 - ბათუმში). კომპანიის დამატებით (არამძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწრა ზდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო,

ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;
მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;
სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო

პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2018 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.58677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი;

1 EUR=3.1552 ლარი.

2018 წელს: 1 USD=2.5345

1 EUR=2.9940 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ექვივალენტები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	3417	5110	9281
ლარი საბანკო ანგარიშზე	1794	335	14868
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშზე	2534	793	6327
სულ:	7745	6238	30476

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან	10070	51611	129534
სულ:	10070	51611	129534

2019 წლის ბოლოსთვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ-15 დებიტორი 31.12.2019 წლის მდგომარეობით.

3.3. მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
ავანსები სავაჭრო მოთხოვნებიდან	525		
სულ:	525		

2019 წლის ბოლოსთვის, კომპანიას მიღებული აქვს ავანსი საქართველოს ერთი რეზიდენტი ფიზიკური პირისგან.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
რეზიდენტი მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	165	490	90
არარეზიდენტი მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	471429	52630	161331
სულ:	471594	53120	161421

31.12.2019 წლის მდგომარეობით არსებული ავანსების უდიდესი ნაწილის დახურვა 2020 წლისთვის ვერ ხერხდება ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. (ავანსების უდიდესი ნაწილი გადახდილია ირანის რესპუბლიკაში).

3.5. მარაგები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1057193	1454483	1336411
საწვავ-საცხები მასალები	241	209	359
სხვა სას.მატერ.ფასეულობები	2166	2086	2086
სულ:	1059600	1456777	1338855

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან და სარეკლამო დანიშნულების საქონლისაგან.

3.6. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-6957	16949	
დასაბრუნებელი მოგების გადასახადი ფიზიკურ პირზე გაცემული სესხიდან	74118	83474	
სულ:	67161	100423	

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით (მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ მიხედვით), ფიზიკურ პირზე გაცემულ სესხზე ხდება მოგების გადასახადის დროებითი დარიცხვა, რომელიც დაუბრუნდება კომპანიას ამ ფიზიკური პირის მიერ სესხის დაფარვისას.

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომ.
კომპიუტერები და აღჭურვილობა	853	330	413	936	113	1044	1866
ავეჯი და სხვა ინვენტარი	466	-27	239	732	153	934	1514
სარეკლამო დანიშნულების ძირითადი საშუალებები	3930	0	1031	4961	5157	3356	3161
სატრანსპორტო საშუალებები	40036	-9448	8637	58121	20810	7770	45082
სულ:	45285	-9145	10320	64750	26232	13104	51622

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს-58845 ლარი;

2018 წლის ბოლოს-55103 ლარი;

3.8 არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომ.
პროგრამული უზრუნველყოფა	152	0	422	574	0	422	996
სულ:	152	0	422	574	0	422	996

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს-2662 ლარი;

2018 წლის ბოლოს-2240 ლარი;

3.9. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
ფიზიკურ პირზე გაცემული გრძელვადიანი სესხის ძირი	420000	473020	
ფიზიკურ პირზე გაცემული გრძელვადიანი სესხზე დარიცხული პროცენტი	141064	59917	
სულ:	561064	532937	

ფიზიკურ პირზე გაცემული სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის ვადაა 2021 წლის 31 დეკემბერი.

3.10. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
დავალიანება რედიტენტი მიმწოდებლის მიმართ	651	27782	4529
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლის მიმართ	0	56749	
სულ:	651	84531	4529

31.12.2019 წლის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 3 რეზიდენტ მიმწოდებლების წინაშე.

3.11. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	68617	0	9389
შემდგომ პერიოდში გადახდილი საბაჟო დღგ	0	28582	12501
სულ:	68617	28582	21890

3.12. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
საქართველო ბანკის 1-ლი სესხი (USD)			318985
საქართველო ბანკის მე-2 სესხი (USD)			259220
საქართველო ბანკის მე-3 სესხი (USD)			259220
საქართველო ბანკის მე-4 სესხი (USD)	1519878	1713024	
საქართველო ბანკის მე-5 სესხი (USD)	467579		
სულ:	1987457	1713024	837425

საქართველოს ბანკიდან აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარში. 2019 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარში შეადგენს-693050 USD-ს.

3.13. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	233838	439902	559692
სულ:	234038	440102	559892

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვეო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2018-2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით რაც წარმოიშვა 2018-2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.16. მიწოდების ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
სატრანსპორტო ხარჯები	551	14238
რეკლამის ხარჯები	339	227
საღარიბო აპარატების მომსახურების ხარჯები	180	283
სხვა მიწოდების ხარჯები	1093	915
სულ:	2163	15663

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	202574	251590
იჯარის ხარჯები	143238	205222
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	645	582
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	3593	1392
საწვავის ხარჯები	4717	7116
ცვეთა და ამორტიზაცია	10742	13526
საკომუნიკაციო ხარჯები	1747	2125
საბანკო ხარჯები	3030	11192
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	13559	
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11565	6648
სულ:	395410	499393

3.18. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2019 წელი	2018 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	81147	59917
დადებითი საკურსო სხვაობები	20295	41440
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	73	4812
სულ:	101515	106170

3.19. არასაოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯები	126664	141402
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	3940	126
უარყოფითი საკურსო სხვაობები	131955	151797
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	20	745
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	17	5
სულ:	262596	294075

სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები ძირითადად შედგება ხანდაზმული მოთხოვნების ჩამოწერისაგან და გადახდილი არასაგადასადო ჯარიმებისა და პირგასამტეხლოებისაგან.

3.20. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიას 2019 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2018 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად (ესტონური მოდელის შესაბამისად) 2019 წელს. 2018 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და ესაბამისად, 2018 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის მაისში მოხდა ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის პროლონგაცია 2021 წლის 31 დეკემბრამდე.


3.22. ფინანსური ანგარისგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელი მოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 აგვისტო.

შპს სიკეთე 445416318
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	საანგარიშო პერიოდი		
	12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ :	1684262	1668186	1660302
ფული და ფულის ექვივალენტები	7745	6239	30476
გაცემული მიმდინარე სესხები		16	16
სავაჭრო მოთხოვნები	10070	51611	129534
მიღებული ავანსები	-525		
გადახდილი ავანსები	471594	53120	161421
მარაგები	1059600	1456777	4338855
სხვა მიმდინარე აქტივები	135778	100423	
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	606501	598261	52618
ძირითადი საშუალებები	45285	64750	51622
არამატერიალური აქტივები	152	574	996
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	561064	532937	
სულ აქტივები:	2290763	2266447	1712920
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	69268	113321	315603
სავაჭრო ვალდებულებები	651	84531	4529
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		208	289184
საგადასახადო ვალდებულებები	68617	28582	21890
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	1987457	1713024	837425
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1987457	1713024	837425
სულ კაპიტალი:	234038	440102	559892
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	200
დაგროვილი მოგება/დაუფარავი ზარალი	233838	439902	559692
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2290763	2266447	1712920

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი  თამილა ებრაელიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სიკეთე 445416318
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 ერთეული 1GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ნეტო ამონაგები	2144156	3569302
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1668656	-2900094
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	475500	669208
მიწოდების ხარჯები	-2163	-15663
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-395410	-499393
და სულ საოპერაციო ხარჯები	-397573	-515056
ფინანსური შემოსავლები	81147	59917
დადებითი საკურსოს სხვაობები	20295	41440
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	73	4813
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	101515	106170
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-3940	-126
ფინანსური დანახარჯები	-126664	-141402
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-20	-745
უარყოფითი საკურსოს სხვაობები	-131955	-151797
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-17	-5
სულ არასაოპერაციო ხარჯები	-262596	-294075
მოგება დაბეგვრამდე:	-83154	-33753
მოგების გადასახადის ხარჯი	-17647	-12353
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-100801	-46106
მათ შორის მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებული:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-100801	-46106
არამაკონტროლებელ წილზე		
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი გადასახადის გამოკლებით		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-100801	-46106
მათ შორის სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-100801	-46106
არამაკონტროლებელ წილზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი თ. ეჭალოძე თამილა ებრაღიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სიკეთე 445416318
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ერთეული: 1GEL

	სააქციო/ საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება/ დაუფარავი ზარალი	სხვა სრული შემოსავა ლი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018	200	559692		559892
საადრინცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გამოსწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად დაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-46106		-46106
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსული მოგება ან ზარალი				0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				0
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-46106		-46106
მესაკუთრების შენატანი კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისაგან				
განაწილებული დივიდენდი		-73684		-73684
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-73684		-73684
ნაშთი 01.01.2019-თვის	200	439902		440102
საადრინცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად დაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-100801		-100801
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდში მთლიანი სრული შემოსავალი		-100801		-100801
მესაკუთრების შენატანი კაპიტალში				
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისაგან				
განაწილებული დივიდენდი		-105263		-105263
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-105263		-105263
ნაშთი 01.01.2020-თვის	200	233838		234038

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი  თამილა ებრაელიძე

თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სიკეთე 445416318
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
 ერთეული: 1GEL

	საანგარიშო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	2572145	4289701
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	3589	4798
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1977892	-3123583
გაცემული შრომის ანაზღაურება	-159403	-200972
საპენსიო ანარიცხები	-6644	
გადახდილი გადასახადები	-412378	-756979
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-12630	-11195
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან	6787	201770
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-533	-22701
სესხის გაცემა		-700000
გაცემული სესხის დაბრუნება	53036	226980
მიღებული პროცენტები		
სხვა შემოსულობანი/განაცემი საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან	52503	-495721
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის აღება	489852	2407190
სესხის დაფარვა	-317612	-1952058
გადახდილი პროცენტები	-126664	-108441
გადახდილი დივიდენდები	-100000	-70000
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან	-54424	276691
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-3360	-6977
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი:	1506	-24237
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის დასაწყისისათვის:	6239	30476
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის ბოლოსათვის:	7745	6239

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.08.2020წ

დირექტორი  თამილა ებრაღიძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი